სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამთა საჯაიას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	87	100

ლევან ნემსაძე [signature]

თარიღი: 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამთა საჯაიას

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა თამთა საჯაია ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად. ამასთან, საყურადღებო და გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაშიც მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც მასთან გასაუბრება გაიმართა 2024 წლის 3 სექტემბერს და ჩემს მიერ იქნა შეფასებული.

ვინაიდან ზემოაღნიშნული ორი კონკურსის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა 2-3 დღის ინტერვალით და აღნიშნული კანდიდატი ჩემს მიერ პირველი კონკურსის ფარგლებში უკვე შეფასებულ იქნა, გამომდინარე აქედან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული ორივე კონკურსის კითხვა-პასუხის შედეგები.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - 35 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2012 წელი)

სპეციალობით მუშაობს 14 წელი, კერძოდ:

- 2010 წლის აგვისტო - 2014 წლის ნოემბერი - სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2014 წლის ნოემბერი - 2018 წლის მაისი - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2018 წლის მაისი - 2018 წლის აგვისტო - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2018 წლის აგვისტო - 2020 წლის ოქტომბერი - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მწერალი თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2020 წლის ოქტომბერი - 2023 წლის ივლისი - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიულ სინდისს და პიროვნულ დამოუკიდებლობას, მედეგობას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერებას. განმარტავენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, თავაზიანი, პრინციპული და გაწონასწორებული პიროვნება.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის „ზამთრის სკოლის" კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.
კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით.
კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა 53.4 კვ/მ, თბილისი.

უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 31 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 3 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების სამეგობო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 6.

კანდიდატს არ აქვს პუბლიკაციები და ნაშრომები.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალში თამთა საჯაიას აქვს კარგი თეორიული ცოდნა. იგი იცნობს მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს, ასევე, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

სამოქალაქო სამართალში მუშაობისას შესაფასებელ პირს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალია, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. აქვს მოსმენისა და რჩევა-დარიგების გააზრების უნარი. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ხშირად ვლინდებოდა მის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რომელსაც ყოველთვის დიდი გულისხმიერებით და

მონდომებით ასრულებდა. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

სისხლის სამართალში სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართალი კანონმდებლობის ცოდნის მაღალი დონე. კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას. გააჩნია სასამართლო პროცესის წარმართვის სათანადო უნარ-ჩვევები. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- საპილოტე ტრენინგი - სექსუალური ძალადობის საქმეებზე მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისთვის - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2022 წელი;
- სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტიკური გამართულობა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი;
- ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი და სხვა.

იგი არ ეწევა პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას.

ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

ფლობს ინგლისურ ენას.

არის დასაოჯახებელი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად, ირკვევა კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 34 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად. სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 34 სამართალდარღვევის ჩადენა ადასტურებს, რომ კანდიდატს, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. თუმცა, „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული

კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს** ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის"** მახასიათებელს.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.**

,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის'' მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ, გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.**

,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.**

,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის'' მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი

იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სათანადო ცოდნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი იყო ხარვეზიანი. მნიშვნელოვანი შეცდომები და უზუსტობები არ გამოვლენილა.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -22 ქულით.**

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვინაიდან კანდიდატს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, ნაშრომი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მისი შეფასება ამ კრიტერიუმით, დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -21 ქულით.**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. ამასთან დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების, რეკომენდატორთა დახასიათებებისა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგად მივიჩნიე, რომ იგი, **„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -18 ქულით.**

კანდიდატი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. იგი წლების განმავლობაში საქმიანობდა სასამართლო სისტემაში, სასამართლო სხდომის მდივნად, ხოლო შემდგომ მოსამართლის თანაშემწედ. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, **„პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -14 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისა. შესაბამისად **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -9 ქულით.**

კანდიდატი არ ეწევა აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობას, იუმცა იგი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში. შესაბამისად, **„პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 3 ქულით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ეანიჭებ 87 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 16.09.2024